საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 20 0000985746

13/10/2020

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 10 მარტს შპს საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №03-2961 (ცენტრში რეგისტრაციის №293159) სააკრედიტაციო განაცხადი ,,ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №356591 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 ივნისს №518994 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 20 ივლისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2020 წლის 9 სექტემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 29 სექტემბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა,,ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 13 ოქტომბრის №985637 სხდომის ოქმის №-03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

ა) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხოეული სტუდენტებისთვის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის No224/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. კერძოდ, სწავლის გაგრძელების მსურველი პირებისთვის

პროგრამის ენის ცოდნის და დგენის მიზნით სავალდებულოა ჩატარდეს გასაუბრება ქართულ ენაში. ასევე, ზემოღნიშნული ბრძანებით უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებს და სტუდენტებს არ მოეთხოვებათ ბოლო ორი წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლისა და ცხოვრების ფაქტის დადასტურება;
ბ) პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნები -''სიგნალების დამუშავება'' და ''გამზომი ხელსაწყოები'' დაემატოს პროგრამის ძირითად საგნებს;
გ) მერვე სემესტრში დაემატოს არჩევითი საგანი ''ელექტრონული სქემების დიზაინი'';
დ) შესწორდეს დაშვების წინაპირობა სასწავლო კურსში „ანალოგური ელექტრონიკა“;
ე) სილაბუსებში მიეთითოს კონკრეტული ამოცანები და ლაბორატორიული სამუშაოები;
ვ) პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის გაძლიერდეს ლაბორატორიული ბაზა სტუდენტების რაოდენობის ზრდის შესაბამისად;
ზ) თვითშეფასების ჯგუფის შექმნისას გათვალისწინებული იქნას ჯგუფში სტუდენტების ჩართულობა.

5.ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 13 აპრილი.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 13 ოქტომბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ელექტრონული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 - ელექტრონული ინჟინერია
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[7]	მ. კოსტავას ქ. No77ა, 0171 თბილისი, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 13 ოქტომბერი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[8]	2021 წლის 13 აპრილი
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 14 ოქტომბერი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[8] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში